ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2024 წლის 26 იანვარი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.10.2017 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016257) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის ობიექტების დაპროექტების კოორდინაციას და მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებას;“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის ობიექტების დაპროექტების კოორდინაციას და მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის მომზადებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძე**